

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს
ფილიალი,
COBRA INSTALACIONES Y SERVICIOS, S.A.
Branch Georgia

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	9
4. ფული და ფულის ექვივალენტები	14
5. სავაჭრო მოთხოვნები	14
6. საგადასახადო აქტივები	16
7. ძირითადი საშუალებები.	16
8. სავაჭრო ვალდებულებები.	17
9. გრძელვადიანი სესხი.	17
10. ამონაგები.	17
11. . რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება.	18
12. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები.	18
13. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	18
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	18
17. პირობითი ვალდებულება	19
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	19

სს „კობრა ინსტალასიონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
(1 ლარი)

		12/31/2023	12/31/2022
	N	GEL	GEL
სულ მიმდინარე აქტივები		9 592 324	13 283 777
ფული და ფულის ექვივალენტები	4	7 346 308	9 831 222
მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები	5	221 300	268 306
საგადასახადო აქტივები	6	1 667 982	1 414 347
გადახდილი ავანსები		356 734	1 227 049
მარაგები		-	537 934
სხვა მიმდინარე აქტივები		-	4 919
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 245 547	2 124 140
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	5	3 184 816	2 099 785
ძირითადი საშუალებები	7	60 731	24 355
აქტივები სულ		12 837 871	15 407 917
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10 647 794	14 226 457
მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები	8	1 935 945	1 500 208
სახელშეკრულებო ვალდებულებები		8 707 732	12 726 249
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		4 117	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6 648 542	6 000 090
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები	8	1 392 838	897 253
გრძელვადიანი სესხი	9	5 255 704	5 102 837
კაპიტალი		(4 458 465)	(4 818 630)
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)		-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(4 458 465)	(4 818 630)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12 837 871	15 407 917

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერის შემდეგ პირთა მიერ:

უფლებამოსილი

წარმომადგენელი ----- ირმა რატიანი

მთ. ბუღალტერის მოვალეობის

შემსრულებელი ----- ზვიადი გიორხელიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	N	2023 GEL	2022 GEL
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან	10	18 636 231	6 738 086
რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღ	11	(17 592 056)	(7 160 927)
სარეალიზაციო მოგება/(ზარალი)		1 044 175	(422 842)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(650 265)	(246 154)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		393 910	(668 995)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	13	587 236	448 994
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		(164 361)	1 138 668
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		(456 620)	(31 230)
მოგება დაბეგვრამდე		360 165	887 436
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება/(ზარალი)		360 165	887 436

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერის შემდეგ პირთა მიერ:

უფლებამოსილი

წარმომადგენელი ----- ირმა რატიანი

მთ. ბუღალტერის მოვალეობის

შემსრულებელი ----- ზვიადი გიორხელიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კობრა ინსტალასიონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (დაუფარავი ზარალი)	სულ
ნაშთი 31.12.2021	-	(5 706 066)	(5 706 066)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/(შემცირება)	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	887 436	887 436
ნაშთი 31.12.2022	-	(4 818 630)	(4 818 630)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/(შემცირება)	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	360 165	360 165
ნაშთი 31.12.2023	-	(4 458 465)	(4 458 465)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერის შემდეგ პირთა მიერ:

უფლებამოსილი

წარმომადგენელი ----- ირმა რატიანი

მთ. ბუღალტერის მოვალეობის

შემსრულებელი ----- ზვიადი გიორხელიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	2023	2022 GEL
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლების მიერ გადახდილი ფულადი სახსრები	15 768 765	17 616 639
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(17 271 602)	(7 344 917)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(747 596)	(682 828)
გადახდილი გადასახადები	(749 180)	(1 332 556)
სხვა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(3 714)	(1 867)
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(3 003 327)	8 254 471
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(72 218)	-
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული პროცენტები	587 236	448 994
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	515 018	448 994
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	-	-
სესხის დაბრუნება	-	-
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი (ნეტო)	3 395	(132 663)
ფულადი სახსრების ცვლილება წლის განმავლობაში	(2 484 914)	8 570 802
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	9 831 222	1 260 420
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	7 346 308	9 831 222

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერის შემდეგ პირთა მიერ:

უფლებამოსილი

წარმომადგენელი ----- ირმა რატიანი

მთ. ბუღალტერის მოვალეობის

შემსრულებელი ----- ზვიადი გიორხელიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოდგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

		12/31/2023	12/31/2022
	N	GEL	GEL
სულ მიმდინარე აქტივები		9 592 324	13 283 777
ფული და ფულის ექვივალენტები	4	7 346 308	9 831 222
მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები	5	221 300	268 306
საგადასახადო აქტივები	6	1 667 982	1 414 347
გადახდილი ავანსები		356 734	1 227 049
მარაგები		-	537 934
სხვა მიმდინარე აქტივები		-	4 919
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 245 547	2 124 140
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	5	3 184 816	2 099 785
ძირითადი საშუალებები	7	60 731	24 355
აქტივები სულ		12 837 871	15 407 917
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10 647 794	14 226 457
მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები	8	1 935 945	1 500 208
სახელმწიფო ვალდებულებები		8 707 732	12 726 249
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		4 117	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6 648 542	6 000 090
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები	8	1 392 838	897 253
გრძელვადიანი სესხი	9	5 255 704	5 102 837
კაპიტალი		(4 458 465)	(4 818 630)
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)		-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(4 458 465)	(4 818 630)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12 837 871	15 407 917

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერის შემდეგ პირთა მიერ:

უფლებამოსილი

წარმომადგენელი ----- ირმა რატიანი

მთ. ბუღალტერის მოვალეობის

შემსრულებელი ----- ზვიადი გიორხელიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	N	2023 GEL	2022 GEL
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან	10	18 636 231	6 738 086
რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღ	11	(17 592 056)	(7 160 927)
სარეალიზაციო მოგება/(ზარალი)		1 044 175	(422 842)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(650 265)	(246 154)
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		393 910	(668 995)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	13	587 236	448 994
მოგება/(ზარალი) საკუთრო სხვაობებიდან		(164 361)	1 138 668
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		(456 620)	(31 230)
მოგება დაბეგვრამდე		360 165	887 436
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება/(ზარალი)		360 165	887 436

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერის შემდეგ პირთა მიერ:

უფლებამოსილი

წარმომადგენელი ----- ირმა რატიანი

მთ. ბუღალტერის მოვალეობის

შემსრულებელი ----- ზვიადი გიორხელიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (დაუფარავი ზარალი)	სულ
ნაშთი 31.12.2021	-	(5 706 066)	(5 706 066)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/(შემცირება)	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	887 436	887 436
ნაშთი 31.12.2022	-	(4 818 630)	(4 818 630)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/(შემცირება)	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	360 165	360 165
ნაშთი 31.12.2023	-	(4 458 465)	(4 458 465)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერის შემდეგ პირთა მიერ:

უფლებამოსილი

წარმომადგენელი ----- ირმა რატიანი

მთ. ბუღალტერის მოვალეობის

შემსრულებელი ----- ზვიადი გიორხელიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	2023	2022 GEL
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლების მიერ გადახდილი ფულადი სახსრები	15 768 765	17 616 639
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(17 271 602)	(7 344 917)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(747 596)	(682 828)
გადახდილი გადასახადები	(749 180)	(1 332 556)
სხვა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(3 714)	(1 867)
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(3 003 327)	8 254 471
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(72 218)	-
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული პროცენტები	587 236	448 994
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	515 018	448 994
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	-	-
სესხის დაბრუნება	-	-
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი (ნეტო)	3 395	(132 663)
ფულადი სახსრების ცვლილება წლის განმავლობაში	(2 484 914)	8 570 802
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	9 831 222	1 260 420
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	7 346 308	9 831 222

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერის შემდეგ პირთა მიერ:

უფლებამოსილი

წარმომადგენელი ----- ირმა რატიანი

მთ. ბუღალტერის მოვალეობის

შემსრულებელი ----- ზვიადი გიორხელიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 22 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404 452 016, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რ-ნი, კარგალეთელის ქ#14, სართული 5, ბინა 7. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის დამფუძნებელია:

სააქციო საზოგადოება „COBRA INSTALACIONES Y SERVICIOS, S.A.“

(ს/კ A46146387)-ესპანეთი.

კომპანიის დირექტორი:

2017 წლის 30 მაისამდე - ხუან ანტონიო ვისენტე როდრიგო-ესპანეთი (პ/ნ AAG410466);

2017 წლის 30 მაისიდან 2022 წლის 17 ოქტომბრამდე - ალფონსო დე დიოს პერეს-ესპანეთი (პ/ნ A0193152800);

2022 წლის 17 ოქტომბრიდან - რაფაელ პულიდო ორტეგა (პ/ნ A7501708500);

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა წყალგაყვანილობის სისტემებისა და სათავო ნაგებობების ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მოქმედ ვალუტას. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული

ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დნადგარები -5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა-3 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების

თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2023 წლეს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2023 წელს: 1 USD=2.9099 ლარი;
1 EUR=2.6287 ლარი.
2022 წელს: 1 USD=2.9099 ლარი;
1 EUR=3.0684 ლარი.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
ეროვნული ვალუტა მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	7 288 684	9 813 410
უცხოური ვალუტა მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	57 624	17 812
	7 346 308	9 831 222

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფოს კონტროლს ქვეშ არსებული კომპანიებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ არსებული მოთხოვნებისგან, რომლებიც წარმოშობილია ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების შედეგად.

კომპანიას გააჩნია სავაჭრო მოთხოვნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთან. დავის საგანს წარმოადგენს „ქუთაისის, ფოთისა და ანაკლიის წყალმომარაგების ინფრასტრუქტურები“ პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შედეგად წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნა 333,000 ლარი (თანხა დამრგვალებულია 1000 ლარამდე). კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნის სრული გაუფასურება.

კომპანიამ დაასრულა სააბიტრაჟო დავა სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“-სთან. დავის საგანს წარმოადგენდა „საჩხერის მუნიციპალიტეტის, გორისა და ჩიხას ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების წყალმომარაგების სისტემის მოწყობა“ პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შედეგად წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნა 530,000 ლარი (თანხა დამრგვალებულია 1000 ლარამდე). არბიტრაჟის გადაწყვეტილების შედეგად კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურება 154,000 ლარი (თანხა დამრგვალებულია 1000 ლარამდე). მიმდინარე ეტაპზე საქმე იმყოფება სააპელაციო სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღიარების პროცესში.

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

კომპანიამ კლიენტს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“-ს წარუდგინა მოთხოვნა „ქ. ფოთში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის პროექტირება-მშენებლობა“ პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შედეგად წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნის 690,000 ლარის გადახდის შესახებ (თანა დამრგვალებულია 1000 ლარამდე). კონტრაქტის თანახმად, კომპანიამ მიმართა მომრიგებელს და ამ ეტაპზე საქმე იმყოფება მომრიგებლის გადაწყვეტილების სტადიაზე, რის შემდგომაც კომპანია ვარაუდობს, რომ იქნება საბოლოო საარბიტრაჟო პროცესიც.

კომპანიას გააჩნია დავა „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო“-სთან. დავის საგანია „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, იაკუბლოს ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავის რეაბილიტაცია (II რიგი)“ პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს შედეგად წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნა 62,000 ლარი. არბიტრაჟმა სრულად დააკმაყოფილა კომპანიის მოთხოვნა. მიმდინარე ეტაპზე საქმე იმყოფება სააპელაციო სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღიარების პროცესში.

კომპანია მიიჩნევს, რომ არსებობს მაღალი ალბათობა ზემოთ ჩამოთვლილი დავების მოგებისა მათთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნების მიღების. აქედან გამომდინარე, კომპანიამ აღნიშნული სავაჭრო მოთხოვნები ასახა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და მათი გაუფასურება არ მიიჩნია მიზანშეწონილად.

კომპანიას გააჩნდა სასამართლო დავა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთან. დავის საგანს წარმოადგენდა - დაბა გუდაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის 1-ლი ეტაპის პროექტის ფარგლებში შესრულებული დამატებითი სამუშაოების საფასურის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის დაკისრება და მიყენებული ზიანის გადახდევინება. დავის მატერიალური მოთხოვნა შედგებოდა ხუთი ნაწილისაგან (თანხები დამრგვალებულია):

- არსებული დავალიანება - 72 000 ლარი;
- დამატებითი სამუშაოების ღირებულება - 1 441 500 ლარი;
- მიუღებელი შემოსავალი (ჯარიმები) - 150 000 ლარი
- მიყენებული ზიანი - 153 150 ლარი;
- საპროცესო ხარჯები - აღნიშნული მომენტისთვის ხსენებული დანახარჯები შეადგენს 12 000 ლარს და შესაძლებელია გაიზარდოს დავის ზემდგომ ინსტანციებში გაგრძელების შემთხვევაში.

სს „კობრა ინსტალაციონის ი სერვისის საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

სულ დავის მოთხოვნა შეადგენდა - 1 828 650 (ერთი მილიონ რვაასოცდარვა ათას ექვსასორმოცდაათი) ლარი.

აღნიშნული მოთხოვნა (გარდა არსებული დავალიანებისა) არ დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ. 2023 წელში აღნიშნული დავალიანება გადახდილი იქნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს მიერ.

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები	221 300	268 306
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	3 518 255	2 099 785
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	(333 439)	-
	3 406 116	2 368 091

6. საგადასახადო აქტივები

საგადასახადო აქტივები შეადგენს ხაზინის ცენტრალურ ანგარიშზე არსებული ზედმეტობის/(დავალიანების), ჩასათვლელი/(გადასახდელი) გადასახადებისა და მიღებულ/(გადახდილ) ავანსებზე გადახდილი/(ჩათვლილი) დარჩენილი დღგ-ს ნეტო შედეგს.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მანქანა დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ავტომობილები	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 01.01.2023	25 023	35 952	-	60 975
დამატება		1 401	70 817	72 218
შემცირება				-
ნაშთი 31.12.2023	25 023	37 353	70 817	133 193
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება				
ნაშთი 01.01.2023	14 300	22 320	-	36 620
დამატება	9 731	9 932	16 179	35 842
შემცირება				-
ნაშთი 31.12.2023	24 031	32 252	16 179	72 462
ნარჩენი ღირებულება 31.12.2023	992	5 101	54 638	60 731

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

	მანქანა დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 01.01.2022	13 725	37 719	51 443
დამატება	13 771	12 107	25 877
შემცირება	(2 472)	(13 873)	(16 346)
ნაშთი 31.12.2022	25 023	35 952	60 975
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება			
ნაშთი 01.01.2022	11 478	29 108	40 587
დამატება	5 294	7 085	12 378
შემცირება	(2 472)	(13 873)	(16 346)
ნაშთი 31.12.2022	14 300	22 320	36 620
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	10 723	13 632	24 355

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. სავაჭრო ვალდებულებები

მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს მომწოდებლების წინაშე არსებულ დავალიანებას. გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლების მომსახურების გამწვრვი ქვეკონტრაქტორებისთვის დროებით დაკავებულ გადახდებს, რომლებიც გადახდილი იქნება მათ მიერ სამუშაოების დასრულებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ.

9. გრძელვადიანი სესხი

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
გრძელვადიანი სესხი არაფინანსური ინსტიტუტებისგან	5 255 704	5 102 837
	5 255 704	5 102 837

10. ამონაგები

	2023	2022
ინფრასტრუქტურული პროექტებიდან	18 636 231	6 736 900
სხვა ხელშეკრულებები	-	1 186
	18 636 231	6 738 086

სს „კობრა ინსტალაციონის ი სერვისის საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

11. რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება

	2023	2022
რეზიდენტი ქვეკონტრაქტორების ხარჯები	8 037 368	3 686 448
მასალების შემენის ხარჯები	7 726 325	2 047 646
პირდაპირი ხელფასები	698 757	886 033
საოპერაციო ხარჯები	1 063 515	482 984
პირდაპირი საიჯარო ხარჯები	66 091	57 816
	17 592 056	7 160 927

12. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის 2023 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2023	2022
საკონსულტაციო ხარჯები	39 593	25 641
ხელფასის ხარჯები	287 443	25 058
საიჯარო ხარჯები	38 051	23 590
საბანკო მომსახურების ხარჯები	4 090	1 681
ოფისის ხარჯები	12 283	7 531
ცვთვისა და ამორტიზაციის ხარჯები	35 843	3 069
სხვა ხარჯები	232 962	159 584
	650 265	246 154

13. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

კომპანიის 2022 და 2023 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება სს "თიბისი ბანკი"-ს მომდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლისგან.

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	ოპერაციის ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებუ ლი პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებუ ლი პერიოდით
საქონლისა და მომსახურების შესყიდვები	289 515	1 297 661
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია		5 003 572
მიღებული სესხები	289 515	6 301 233

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
 (ლარი)

	ოპერაციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებუ ლი პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებუ ლი პერიოდით
საქონლისა და მომსახურების შესყიდვები	94 508	1 049 019
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	352 076	-
მიღებული სესხები		4 850 705
	446 584	5 899 724

17. პირობითი ვალდებულება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, იაკუბლოს ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავის რეაბილიტაცია (II რიგი)“ პროექტის ფარგლებში კომპანიისგან მოითხოვს 4,455,000 ლარი ზარალის ანაზღაურებას. ამ ეტაპზე დავას განიხილავს ადგილობრივი არბიტრაჟი. ადგილობრივი არბიტრაჟის მიერ კომპანიის სასარგებლოდ გადაწყვეტილი დავა 31.12.2023-ის მდგომარეობის სააპელაციო სასამართლოში განიხილება.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 1 ოქტომბერს.

უფლებამოსილი

წარმომადგენელი ----- ირმა რატიანი

მთ. ბუღალტერის მოვალეობის

შემსრულებელი ----- ზვიადი გიორხელიძე

სს „კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
 (ლარი)

საქონლისა და მომსახურების შესყიდვები
 საქონლისა და მომსახურები რეალიზაცია
 მიღებული სესხები

ოპერაციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებუ ლი პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებუ ლი პერიოდით
94 508	1 049 019
352 076	-
	4 850 705
446 584	5 899 724

17. პირობითი ვალდებულება


საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, იაკუბლოს ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავის რეაბილიტაცია (II რიგი)“ პროექტის ფარგლებში კომპანიისგან მოითხოვს 4,455,000 ლარი ზარალის ანაზღაურებას. ამ ეტაპზე დავას განიხილავს ადგილობრივი არბიტრაჟი. ადგილობრივი არბიტრაჟის მიერ კომპანიის სასარგებლოდ გადაწყვეტილი დავა 31.12.2023-ის მდგომარეობის სააპელაციო სასამართლოში განიხილება.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 1 ოქტომბერს.

უფლებამოსილი

წარმომადგენელი



ირმა რატიანი

მთ. ბუღალტერის მოვალეობის

შემსრულებელი



ზვიადი გიორგელიძე